MES 6 23 0000041560

18/01/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 28 დეკემბერს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/84867956425?pwd=SHpvTGpFTzFkRjB3MlgvR0kxUkplQT09
Meeting ID: 848 6795 6425
Passcode: 947129

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი":
ნანა ჯოლია - დირექტორი,
ნანა ფაჩუაშვილი - დირექტორის მოადგილე,
თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ნაზიბროლა ყაზაიშვილი - იურისტი,
სოფიო კვერღელიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

სსიპ კოლეჯი „მოდუსი":
ნინო ქავთარაძე - დირექტორი,
მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,
რუსუდან ქურასბედიანი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაცია:
ლევან ფხაკაძე - აღმასრულებელი დირექტორი,
ვერიკო ხომერიკი - კონსულტანტი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

ქეთევან ჯანელიძე,
თამარ ახალაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:04 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი,

,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01462/ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01434/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ /01455/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ჰქონდათ.
საკითხების განხილვა გაგრძელდა დღის წესრიგის მიხედვით.

1. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01462/ (სოფ.გორაბერეჟ ოული) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა, მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 ნოემბერს ჩატარდა საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იქნა სწორედ წარმოდგენილი საკითხი, საბჭომ განსაზღვრა ხარვეზის გამოსასწორებლად 30 კალენდარული დღე სხდომიდან, გადაწყვეტილება ატვირთული იყო ელექტრონულ სისტემაში, დაწესებულებას განსაზღვრულ ვადაში არ არ გამოუსწორებია ხარვეზი, აქედან გამომდინარე, ეს საკითხი განსახილველად ჩაისვა დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში, რამდენადაც ამ განაცხადზე წარმოების ვადებიც გადის, საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, დაწესებულებას ხარვეზის გამოსწორების ვადა ერთხელ ეძლევა, შემდეგ უკვე საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამოსწორდა თუ არ გამოსწორდა ხარვეზი, კოლეჯის დირექტორი არგუმენტებს წარმოადგენს საბჭოს სხდომაზე, ხოლო საბჭო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ ასევე საბჭოს წევრებს მიეწოდა ოქმები და რადგანაც ეს საკითხი საბჭოზე გავიდა საბჭოს ახალი შემადგენლობის ფარგლებში, საბჭოს წევრებისთვის ცნობილია, თუ რა არგუმენტები იყო მოყვანილი დაწესებულების მიერ საბჭოს სხდომაზე და რა შეღავათი გაუწია საბჭომ, როდესაც 30 დღიანი ხარვეზის გამოსწორების ვადა მისცა დაწესებულებას.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას მიმართა დაეფიქსირება პოზიცია.
დაწესებულების დირექტორი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ 24 ნოემბრის თარიღით ჰქონდა ხელშეკრულება დადებული წყლის ავზის გადმოცემის თაობაზე, 24 ნოემბერს მოეწერა ხელი ხელშეკრულებას, შემდეგ ერთი კვირა დასჭირდა საჯარო რეესტრიდან

ამონაწერს, რომ წყლის ავზი გადმოეცათ დაწესებულებისთვის, კოლეჯის რეესტრში ეს პროცედურა გატარებულია, ამის შემდეგ კოლეჯმა დაიწყო პროცედურები ავზის გადმოტანის შესახებ, მან დასძინა, რომ ეს არის 60 ტონიანი ავზი, სოფ. გორაბერეჟოულში, რომელსაც სჭირდებოდა სპეციალური ტექნიკა და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება, ავზის გადმოტანა 6-8 დეკემბრს იყო დაგეგმილი, ამჟამად წყლის ავზი გადმოტანილია, რასაც თან ახლდა ავზის ადგილის მოწყობა და ავზის დადგმა, ყველა პროცედურა დასრულებულია, ავზი სავსეა წყლით, კოლეჯის განცხადება, შესაბამისი დასკვნის მოთხოვნით, ატვირთულია სახანძრო უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეციალურ გვერდზე.
ყველაფერი მზად იყო იმისთვის, რომ სახანძრო უსაფრთხოების უწყებიდან მოსულიყვნენ შესამოწმებლად, თუმცა წლის ბოლოს გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ მოხერხდა მათი ვიზიტი, თან პროცედურებიც შეიცვალა, თავდაპირველად ხდება თანხის გადახდა და გადახდილი თანხის საფუძველზე ხდება უკვე ამ უწყების ჩამოსვლა შესამოწმებლად.
მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ვადაში, რასაც ერთკვირიანი უქმე დღეები დაემატა და ვერანაირად ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება, ყველაფერი დასრულებულია, დარჩა მხოლოდ 112-ის ვიზიტი.
საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, ამჟამად დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტები სწავლობენ თუ არა ამ ლოკაციაზე, რაზეც დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ ლოკაციაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა. მარიკა ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ ამ დოკუმენტის მოთხოვნა აუცილებელია №131 დადგენილების მიხედვით, ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობს პროფესიული უნარების სააგენტო, ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. შესაძლებელი იყო კომპრომისზე წასვლა, თუმცა ამ ეტაპზე დადგენილების შესაბამისად უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული.
მან თხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს გაეზიარებინათ საბჭოს წევრებისთვის ფოტოები, რომ საბჭოს წევრებს წარმოდგენა შეექმნას, რა ეტაპზეა ეს პროცესი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, რომ სასურველი იქნებოდა იმ 30 დღის ვადაში გადმოეგზავნა დაწესებულებას წერილი და ფოტოები, ასევე მიმოწერები, რომ დადგენილ ვადაში, საბჭოს სხდომამდე გაცნობოდნენ.
ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ცენტრის მხრიდან არანაირ შეფერხებას არ ჰქონია ადგილი, დაწესებულებას რომ მოეწოდებინა დროულად ინფორმაცია, ცენტრი გაუზიარებდა გადმოგზავნილ დოკუმენტაციას საბჭოს წევრებს.
დაწესებულების მიერ სხდომაზე ფოტოების გაზიარების შემდეგ საბჭო გავიდა სათათბიროდ.
სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კენჭისყრის პროცესში დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის“ „ღვინის დამზადება საოჯახო მარანში“ /01462/ (სოფ. გორაბერეჟოული) პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0
წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული

მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ (ს/კ: 237079497) უარი ეთქვას განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ღვინის დამზადება საოჯახო მარანში /01462/ სოფ. გორაბერეჟოულში.
კენჭისყრის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ გააჟღერა გადაწყვეტილების მიღების არგუმენტები.
მან აღნიშნა, რომ მიუხედავად დაწესებულების მონდომებისა, დროულად და ოპერატიულად მოგვარებულიყო ეს საკითხი, სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ამ პროცესის დასრულება. მან დასძინა, რომ როდესაც დადებით დასკვნას მიიღებს დაწესებულება შესაბამისი უწყებიდან, თავიდან შემოიტანს განაცხადს. საბჭო იმედოვნებს, რომ ამ საკითხის მოგვარება მოხდება დროულად და წარმატებები უსურვა კოლეჯს.

2. სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01434/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იყო მიმდინარე წლის 9 ნოემბრის საბჭოზე, ხარვეზი დაფიქსირებული იყო სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში, ვინაიდან მიწერილობის დოკუმენტს ვადა ჰქონდა გასული, დასკვნა ჩაბარებული იყო 4 ოქტომბერს და 19 ოქტომბერს ჰქონდა დაწესებულებას გაგზავნილი წერილი განმეორებითი შემოწმების მიზნით, დადგენილ ვადაში წარმოდგენილი იქნა განახლებული სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, მან დასძინა, რომ ამ ეტაპისთვის ყველა ხარვეზი გამოსწორებულია, ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია, შესაბამისად შესაძლებელია უკვე მსჯელობა პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.
მან ასევე დასძინა, რომ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 24 ნოემბრის N1496209 გადაწყვეტილებით სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) განესაზღვრა საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღე პროფესიული მომზადების პროგრამის - ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი) /01434/ - ხარვეზის გამოსასწორებლად, რის საფუძველზეც 2022 წლის 25 ნოემბერს N1503165 წერილით, ხოლო QMS ელექტრონული სისტემით 9 დეკემბერს წარმოადგინა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2022 წლს 17 ნოემბრის დასკვნა სსიპ კოლეჯი "მოდუსის" ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობის შესახებ. ცენტრში წარმოდგენილი წერილის თანახმად დასკვნის მიხედვით კოლეჯი ,,მოდუსის'' ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, ამდენად საბჭოზე განხილული საკითხის შესაბამის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზი 2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გასწორებულია და შეესაბამება ქვესტანდარტის მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია თუ არა, რაზეც ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე უკვე გათვალისწინებული ჰქონდა რეკომენდაციები დაწესებულებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ხომ არ სურდა კომენტარის გაკეთება, რაზეც დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ იქნა დროულად სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, რის მიხედვითაც ყველა ხარვეზი გამოსწორებულია. რაც

შეეხება დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ „ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)“ /01434/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი) /01434/
(დანართი 1).

3. ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ /01455/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ. მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 18 ნოემბრის №1473148 ოქმის, ,,ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციისთვის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ '' საბჭოს 2022 წლის 18 ნოემბრის № 1475434 გადაწყვეტილების საფუძველზე, ,, ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 დეკემბრის №1600251 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ შეისწავლეს წარმოდგენილი განახლებული პროგრამა. დისტანციური გასაუბრების საჭიროება არ გამოკვეთილა.

მან პრეზენტაციაში აღნიშნა, რომ 2021 წელს საქართველოში 273 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, შიდა ქართლის რეგიონშია (57.9 პროცენტი) განთავსებული. მათ შორის კახეთის რეგიონში (16.8 პროცენტი), ქ. თბილისში (5.9 პროცენტი), აჭარის არ-ში (5.1 პროცენტი), ქვემო ქართლის რეგიონში (4.4 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (4.0 პროცენტი), იმერეთის რეგიონში (2.6 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (1.5 პროცენტი), გურიის რეგიონში (1.5 პროცენტი) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (0.4 პროცენტი).
წარმოდგენილი პროგრამა გათვლილია საქართველოს რეგიონების მასშტაბით და არა მარტო გორის რაიონისთვის.
ასოციაცია აპირებს გაერთიანდეს საერთაშორისო ასოციაციათა ქსელში. ცნობილი სავაჭრო ქსელები თანამშრომლობენ ასოციაციასთან და სურვილი აქვთ ითანამშრომლონ სამაცივრე ასოციაციასთან კადრების გადამზადების მიზნით. ასოციაციას ჰყავს 12 წევრი და უახლოეს პერიოდში მოხდება 42 წევრის დამატება, მათი ვინც USAID პროექტის ფარგლებში მიიღო გრანტი სამაცივრე კომპლექსების შექმნასთან დაკავშირებით.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა 1.7. ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დაკორექტირებული ვერსია, სადაც სასწავლო პროგრამა 11 კვირიანია და მესამე სწავლის შედეგი არის ფორმულირებული შემდეგნაირად: „ხილის და ბოსტნეულის მიწოდების ჯაჭვზე მორგებული ბიზნეს მოდელის შერჩევა და დანერგვა; სასაწყობე ტემპერატურის კონტროლის, კონტროლირებადი ატმოსფეროს სისტემების დაგეგმვა და მონიტორინგი ახალი ხილისა და ბოსტნეულისათვის“. სწავლის შედეგს ეთმობა 12 საათი და მიიღწევა A C გარემოში.
აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელების სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. ასევე დაწესებულებამ გამოასწორა 1.9. და 1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებული ხარვეზები, სწავლების პროცესში პრაქტიკული სწავლების გარემო (C გარემო) ყველა სწავლის შედეგთან მიმართებაში გამოიყენება, გარდა მე-9 და მე- 10 კვირისა. პრაქტიკული სწავლების შეფასება ხდება პრაქტკული დავალებით/ ან დავალებაზე დაკვირვებით.
ასევე დაწესებულებამ გაითვალისწინა დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები. მან აღნიშნა 1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და დაშვების წინაპირობად განსაზღვრა - ხილის და ბოსტნეულის წარმოების, შენახვის ან გადამუშავების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება - 1 წელი და საშუალო განათლება. ასევე მიუთითა კიდევ რა დარდში შეიძლება ჰქონდეს აპლიკანტს გამოცდილება, ეს დარგებია 07 - ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, 08 - სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია, 081 - სოფლის მეურნეობა, 072 - წარმოება და გადამუშავება, 041 - ბიზნესი და ადმინისტრირება. ძველი კლასიფიკატორით განსაზღვრული კვალიფიკაციები 040905 - სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია, 010451 - ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამმუშავებელი, 020361 - სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი.
1.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და დააზუსტა რომ სწავლის შედეგი „სასაწყობე ტემპერატურის კონტროლის, კონტროლირებადი ატმოსფეროს სისტემების დაგეგმვა და მონიტორინგი ახალი ხილის და ბოსტნეულისთვის“ მიღწეული იქნება მე-3 კვირაში“ შემდეგი თემატიკის გათვალისწინებით: ხილის მიწოდების ჯაჭვი (ვაშლი, მსხალი, ატამი, ხურმა, ლურჯიმოცვი და სხვა), შესანახი ხილის ზოგადი მორფოლოგიური და სამეურნეო მახასიათებლები, ხილის ბიოქიმიური მახასიათებლები, ხილის მოსავლის აღებისა და დახარისხების მიდგომები, ხილის სტანდარტები, ხილის მიწოდების ცივი ჯაჭვი და სტრესული ფაქტორები, ხილის ტრანსპორტირების თავისებურებები, ხილის შენახვის პრინციპები, ტემპერატურული რეჟიმები და შესანახი საწარმოები, ხილის შენახვის ბიოლოგიური საფუძვლები: სუნთქვა, აორთქლება, ეთილენის გამოყოფა და სხვა, ხილის შესანახი საწარმოების ტიპები და ფორმები, ხილის შესანახი საწარმოების სამაცივრო დანადგარები და სამოდელო პროექტები.

პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციის „მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა“ /01455/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს სამაცივრე მეურნეობებისა და ლოჯისტიკის ასოციაციას (ს/კ: 405272155) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა /01455/ **(დანართი 2).**

საბჭოს სხდომა დასრულდა 15:31 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01434	ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4

დანართი 2

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01455	მიწოდების ცივი ჯაჭვის მართვა	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	11	ქართული	30	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2